

ქ. თბილისი

21 დეკემბერი 2022 წელი

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთი მხრივ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო (მის: ქ. თბილისი, გია გულუას ქუჩა N10, საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა, კოდი - TRESGE22, საიდ. კოდი - 204383176), შემდგომში „შემსყიდველი“, წარმოდგენილი შინაგან საქმეთა სამინისტროს ეკონომიკური დეპარტამენტის დირექტორის თია მელაძის სახით და მეორე მხრივ,

მიმწოდებელი: შპს „ანაგი“ **საიდენტიფიკაციო კოდი:** 245416401

მისამართი: ქ. თბილისი, კოსტავას ქ. N37-39, III სართული **ტელეფონი:** 995 (32) 224 12 11

დირექტორი: ირაკლი გოგოლიშვილი

საბანკო რეკვიზიტები:

სს „საქართველოს ბანკი“ ბანკის კოდი: BAGAGE22; ა/ა: GE46BG000000541168511

სს „თიბისი ბანკი“ ბანკის კოდი: TBCBGE22; ა/ა: GE76TB7299036050100009

მიმწოდებელი შეტანილია თეთრ სიაში (24.06.2022 - 24.06.2023), სახელმწიფო შესყიდვის სააგენტოს თავჯდომარის N2027 განკარგულება

შემდგომში „მიმწოდებელი“, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და მათი გათვალისწინებით, შეთანხმდნენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობებზე და სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადების თაობაზე.

2. ხელშეკრულების (შესყიდვის) ობიექტი, შესყიდვის საშუალება, ხელშეკრულების ღირებულება და ხელშეკრულების მოქმედების ვადა

2.1. **ხელშეკრულების (შესყიდვის) ობიექტი** - ერთი ხელშეკრულების ფარგლებში ქ. თბილისში, ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩა N69-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 01.14.01.011.001) 1100 ბინიანი პოლიციის ქალაქის მშენებლობის მიზნით ტერიტორიაზე არსებული შენობა-ნაგებობების სადემონტაჟო სამუშაოების, საჭირო განაშენიანების დეტალური გეგმის, არქიტექტურულ-სამშენებლო პროექტის მომზადებისა და მის საფუძველზე სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვა.

2.2. **შესყიდვის საშუალება:** ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე NAT220022714

2.3. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს **124 963 260 (ას ოცდაოთხი მილიონ ცხრასს სამოცდასამი ათას ორას სამოცი)** ლარს, ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, როგორც შესყიდვის ობიექტის ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

2.4. ხელშეკრულების ღირებულება არის ცვალებადი და ექვემდებარება პერიოდულ კორექტირებას „ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების ხელშეწყობის მიზნით ფასთა ინდექსაციის გამოყენების საფუძველების, პრინციპებისა და წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 27 აპრილის N753 განკარგულების მე-7 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად განსაზღვრული ინდექსის გათვალისწინებით.

2.5. კლასიფიკატორის კოდი: CPV-45200000 - მთლიანი ან ნაწილობრივი სამშენებლო სამუშაოები და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოები.

2.6. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების გაფორმებისთანავე და ძალაშია 2026 წლის 30 აპრილის ჩათვლით, მაგრამ არაუადრეს მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე.

3. სამუშაოს შესრულების პირობები, ვადა და ადგილი

3.1. მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებიდან 60 დღის განმავლობაში წარმოადგინოს „პოლიციის ქალაქის“ მინიმუმ 1 კონცეპტუალური შემოთავაზება, ლოგიკური მსჯელობის საფუძველზე მიღებული არქიტექტურულ-დიზაინერულ-კონსტრუქციული გადაწყვეტა ადევნატური დასაბუთებით და განმარტებითი ნაწილით (კონცეფცია განმარტებითი ბარათის სახით, გენ-გეგმა (ესკიზურ დონეზე) პოლიციის ქალაქის, მათ შორის შენობების 3D - კომპიუტერული ვიზუალიზაცია, რენდერები სხვადასხვა რაკურსით) - პროექტის შეთანხმების ვადა - 30 (ოცდაათი) დღე.

3.2. ხელშეკრულების 3.1 პუნქტის შესაბამისად მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებზე შემსყიდველის მიერ თანხმობის არ მიცემის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის დასაბუთებული/მოტივირებული შენიშვნების გათვალისწინებით დაზუსტებული, ხელშეკრულების 3.1 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია-დოკუმენტები წარმოადგინოს შემსყიდველის წერილობითი მოთხოვნიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში. აღნიშნულ ვადაში ხელშეკრულების 3.1 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია-დოკუმენტების წარმოდგენლობის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება, რა შემთხვევაშიც მიმწოდებელს ჩამოერთმევა ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია სრულად. აღნიშნულ ვადაში წარმოდგენილი ინფორმაცია-დოკუმენტები, თუ კვლავ მიუღებელი იქნება შემსყიდველისთვის, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე შეწყდება წინამდებარე ხელშეკრულება, რაც არ წარმოშობს მხარეებისთვის დამატებით ვალდებულებებს ან საჯარიმო სანქციებს, ამასთან ხელშეკრულების როგორც ცალმხრივად ასევე ურთიერთშეთანხმების საფუძველზე შეწყვეტის შემთხვევაში, მოცემული

ეტაპისთვის მიმწოდებლის მიერ სადემონტაჟო სამუშაოების ან მისი ნაწილის განხორციელების შემთხვევაში, შემსყიდველი მიმწოდებელს აუნაზღაურებს ფაქტობრივად გაწეული სადემონტაჟო სამუშაოების ღირებულებას.

3.3. ხელშეკრულების 3.1 პუნქტით განსაზღვრულ დოკუმენტებზე/კონცეფციაზე თანხმობის მიცემიდან 90 დღის განმავლობაში მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს სრული საპროექტო დოკუმენტაცია. მათ შორის:

- 3.3.1. არქიტექტურული პროექტი (მუშა ნახაზებით);
- 3.3.2. კონსტრუქციული პროექტი (მუშა ნახაზებით);
- 3.3.3. საინჟინრო ნაწილის პროექტი (მუშა ნახაზებით);
- 3.3.4. დენდროლოგიური პროექტი (მუშა ნახაზებით);
- 3.3.5. განაშენიანების გენერალური გეგმა;
- 3.3.6. პოლიციის ქალაქის, მათ შორის შენობების 3D - კომპიუტერული ვიზუალიზაცია (რენდერები)
- 3.3.7. სამშენებლო გეგმა-გრაფიკი
- 3.3.8. ტერიტორიის კეთილმოწყობის სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია
- 3.3.9. სამშენებლო სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის ექსპერტიზა, რომელიც ჩატარებული უნდა იყოს შესაბამისი აკრედიტაციის მქონე დამოუკიდებელი საექსპერტო დაწესებულების ან ექსპერტის მიერ, კერძოდ:
- 3.3.10. გეოლოგიური ნაწილის ექსპერტიზა;
- 3.3.11. კონსტრუქციული ნაწილის ექსპერტიზა;
- 3.3.12. საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის #41 დადგენილებასთან შესაბამისობის ექსპერტიზა;
- 3.3.13. ტექნიკური რეგლამენტი „მისაწვდომობის ეროვნულ სტანდრტთან“ შესაბამისობის ექსპერტიზა (საჭიროების შემთხვევაში);
- 3.3.14. მოცულობათა უწყისის პროექტთან შესაბამისობის ექსპერტიზა.

3.4. ხელშეკრულების 3.3 პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე, ელექტრონულ ფორმატში (ვექტორული DWG ან DXF PLN გაფართოების ფაილი ArchiCAD ან AutoCAD, და PDF ფაილი ან კომპაქტური დისკებით (CD ან DVD სახით)).

3.5. მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებიდან 180 დღის განმავლობაში უზრუნველყოს კომუნალური მომსახურების ორგანიზაციებიდან (ელექტროენერგია, ბუნებრივი აირი, სასმელი წყალი, ტექნიკური წყალი, სატელეფონო და სატელევიზიო კავშირი, ინტერნეტ მომსახურება, აგრეთვე, სხვა საკომუნიკაციო მომსახურება საჭიროების შემთხვევაში) მშენებლობის ნებართვის მოსაპოვებლად აუცილებელი წინასწარი თანხმობების მოპოვება და მშენებლობის ნებართვის მიღება.

3.6. შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების 3.3 პუნქტით განსაზღვრულ დოკუმენტებზე/კონცეფციაზე თანხმობის მიცემიდან 915 დღის განმავლობაში მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს წინამდებარე ტენდერის განსაზღვრული სადემონტაჟო და სამშენებლო სამუშაოების (მათ შორის შენობების ექსპლუატაციაში მიღება) განხორციელება.

3.7. მიმწოდებელი უფლებამოსილია, სადემონტაჟო სამუშაოები დაიწყოს ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ ხელშეკრულების 5.9 პუნქტით გათვალისწინებული აკრედიტირებული ექსპერტიზის დასკვნის გადაცემისთანავე. მიმწოდებელი ვალდებულია სადემონტაჟო სამუშაოების დაწყებამდე შემსყიდველს წარუდგინოს სადემონტაჟო სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა.

3.8. მიმწოდებელი ვალდებულია, ხელშეკრულებით განსაზღვრული ყველა დოკუმენტი, მათ შორის: მიღება-ჩაბარების დოკუმენტები, შეთანხმების დოკუმენტები, საექსპერტო დასკვნა, საბოლოო დეტალური საპროექტო დოკუმენტაცია და ა.შ. წარმოადგინოს შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გ. გულუას ქუჩა N10, შინაგან საქმეთა სამინისტრო - ლოჯისტიკის დეპარტამენტი.

3.9. სამუშაოს შესრულების ადგილია: ქ. თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩა N69-ში მდებარე მიწის ნაკვეთი (ს/კ: 01.14.01.011.001).

3.10. სამუშაოების დასრულების შემდეგ შემსრულებელი ვალდებულია თავისი ძალებით და სახსრებით დაუყოვნებლივ გაათავისუფლოს სამუშაო ადგილი მანქანა-მექანიზმებისაგან, მოწყობილობა-დანადგარებისაგან, მასალებისაგან, სამშენებლო ნარჩენისაგან, ნაგვისგან და ა. შ.

3.11. მიმწოდებელი ვალდებულია, სამუშაოების მიმდინარეობისას დახარჯული კომუნალური გადასახადები გადაიხადოს საბოლოო მიღება-ჩაბარების გაფორმებამდე.

3.12. შემსყიდველისთვის შეტყობინების გარეშე მიმწოდებელს უფლება არ აქვს სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები ან მისი ნაწილი გადასცეს ქვეკონტრაქტორს.

3.13. **სამუშაოების შესრულების პირობები:** მოცემულია წინამდებარე ხელშეკრულების დანართი N2-ში.

4. შესრულებული სამუშაოების ხარისხი და გარანტია

4.1. **შესასრულებელი სამუშაოს საგარანტო ვადა:** საგარანტო ვადა განისაზღვრება საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან: რკინა-ბეტონის კონსტრუქციებზე 50 (ორმოცდაათი) წელი, სახურავის ვარგისიანობაზე 7 (შვიდი) წელი, შესრულებულ სამუშაოებზე და გამოყენებულ მასალებზე 2 (ორი) წელი, დანადგარებზე და აგრეგატებზე 1 (ერთი) წელი, ხოლო ლიფტზე 1 (ერთი) წელი.

4.2. მიმწოდებელი ვალდებულია, საგარანტო პერიოდში გამოვლენილი ხარვეზის ან/და წუნის აღმოფხვრის მიზნით (რომელიც/რომლებიც არ არის გამოწვეული არასათანადო ექსპლუატაციით), შემსყიდველის წერილობითი მოთხოვნიდან 2 სამუშაო დღის განმავლობაში გამოცხადდეს ობიექტზე და დაიწყოს ხარვეზის ან/და წუნის აღმოფხვრისთვის საჭირო მოქმედებების შესრულება, ხოლო ხარვეზის აღმოფხვრა ან/და წუნის გამოსწორება უზრუნველყოს ობიექტზე გამოცხადებიდან შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ გონივრულ ვადაში, მაგრამ

არაუგვიანეს მოთხოვნის დაფიქსირებიდან 30 დღის განმავლობაში. იმ შემთხვევაში, თუ ხარვეზის ან/და წუნის აღმოფხვრა მოითხოვს სამშენებლო მასალის ან/და აპარატურის/აგრეგატის საზღვარგარეთ შეკვეთაც, მიმწოდებელმა ხარვეზის აღმოფხვრა / წუნის გამოსწორება უნდა უზრუნველყოს მოთხოვნის დაფიქსირებიდან უმოკლეს გონივრულ ვადაში, რა შემთხვევაშიც, შემსყიდველის მოთხოვნიდან 3 სამუშაო დღის განმავლობაში უნდა წარმოადგინოს სამშენებლო მასალის ან/და აპარატურის/აგრეგატის საზღვარგარეთ შეკვეთის დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი.

4.3. დეფექტებზე პასუხისმგებლობის პერიოდი: სამუშაოს ხარისხის დაცვის უზრუნველსაყოფად, საბოლოო ანგარიშსწორებისას განხორციელდება ხელშეკრულების ფარგლებში შესრულებული სამუშაოს ღირებულების 5%-ის დაკავება, რომლის ანაზღაურებაც განხორციელდება დეფექტებზე პასუხისმგებლობის პერიოდის (საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტით გათვალისწინებულ სამუშაოთა დასრულების თარიღიდან 2 წელი) დასრულების შემდეგ.

4.4. მიმწოდებელი ვალდებულია, დეფექტებზე პასუხისმგებლობის პერიოდში გამოვლენილი ხარვეზის ან/და წუნის აღმოფხვრა განახორციელოს შემსყიდველის წერილობითი მოთხოვნიდან გონივრულ ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს 30 დღის განმავლობაში.

5. აუცილებელი პირობები

5.1. სამუშაოს შესრულების პირობები განსაზღვრავს ძირითად მითითებებსა და მოთხოვნებს, რომელიც შეეხება მშენებლობისათვის საჭირო დეტალური საპროექტო დოკუმენტაციის მომზადებას და დეტალური საპროექტო დოკუმენტაციის საფუძველზე, სამშენებლო სამუშაოების შესრულებას.

5.2. მიმწოდებელი ვალდებულია დეტალური საპროექტო დოკუმენტაცია წარმოადგინოს და სამშენებლო სამუშაოები აწარმოოს სამუშაოს შესრულების პირობები შესაბამისად.

5.3. საპროექტო გადაწყვეტები და შესრულებული სამუშაოების ხარისხი უნდა უზრუნველყოფდეს სამშენებლო ობიექტის და დაკავშირებული ინფრასტრუქტურის ფუნქციონირებას, შესაბამისი სტანდარტებით განსაზღვრული, სრული საექსპლუატაციო ვადის განმავლობაში.

5.4. მიმწოდებელს აკრედიტირებული ექსპერტიზის დასკვნა ტერიტორიაზე არსებული შენობა-ნაგებობების დემონტაჟის შედეგად გამოსათავისუფლებელი ვარგისი სამშენებლო მასალების რაოდენობის შესახებ გადაეცემა ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ.

5.5. სადემონტაჟო სამუშაოების დასრულების შემდეგ მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს წარუდგინოს აკრედიტირებული ექსპერტიზის მიერ გაცემული დასკვნა ტერიტორიაზე არსებული შენობა-ნაგებობების დემონტაჟის შემდეგ გამოთავისუფლებული ვარგისი სამშენებლო მასალების ფაქტობრივი რაოდენობის და ღირებულების შესახებ.

5.6. სადემონტაჟო სამუშაოების დასრულების შემდეგ, მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტთან ერთად წარუდგინოს შესრულებული სამუშაოების ამსახველი დოკუმენტი, ფორმა N2-ის სახით,

5.7. მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს ტერიტორიაზე არსებული შენობა-ნაგებობების დემონტაჟის შემდეგ გამოთავისუფლებული ვარგისი სამშენებლო მასალების ტრანსპორტირება, ქ. თბილისის მასშტაბით შემსყიდველის მიერ მითითებულ ადგილამდე (მასალების დატვირთვა-ჩამოტვირთვას უზრუნველყოფს მიმწოდებელი საკუთარი ხარჯებით).

5.8. მიმწოდებლის მიერ მიწოდებული დეტალური საპროექტო დოკუმენტაცია და ყველა სახის მასალა (გამოკვლევა, ანგარიშები, ან სხვა მასალები, გრაფიკა, პროგრამული უზრუნველყოფა და სხვა დოკუმენტები) მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დღიდან წარმოადგენს შემსყიდველის საკუთრებას.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს, ნებისმიერ ეტაპზე, ახორციელებს შემსყიდველი.

6.2. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს შსს ლოჯისტიკის დეპარტამენტის შესაბამისი უფლებამოსილი პირი ან/და სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო ან/და შემსყიდველის მიერ შერჩეული სხვა შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე იურიდიული პირი. სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან/და შემსყიდველის მიერ შერჩეული სხვა შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე იურიდიული პირის მომსახურების ღირებულების ანაზღაურებას უზრუნველყოფს შემსყიდველი.

6.3. მიმწოდებელი ვალდებულია ხელი შეუწყოს შემსყიდველს კონტროლის განხორციელებაში. საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოს, კონტროლის ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით.

6.4. მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოები განახორციელოს საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების მოთხოვნათა სრული დაცვით. მათ შორის: აწარმოოს სამუშაოების ხარისხის კონტროლი, გამოსაყენებელი მასალების ლაბორატორიული გამოცდები და შემსყიდველის მოთხოვნაში წარუდგინოს ტექნიკური ზედამხედველობის განმახორციელებელ პირს გამოყენებული მასალა-ნაკეთობების ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (ლაბორატორიული დასკვნები, სერტიფიკატები და სხვა).

6.5. მასალები უნდა ინახებოდეს დახურული წესით, გარდა იმ მასალებისა, რომელიც ნორმების მიხედვით ინახება ღია ცის ქვეშ.

6.6. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

6.7. შემსყიდველი მიმწოდებელთან ერთად აწარმოებს კონტროლს სამუშაოების მიმდინარეობაზე, თანახმად საქართველოში მოქმედი ყველა სამშენებლო ნორმების, სტანდარტების და წესებისა, რომელთა დარღვევის შემთხვევაში შემსყიდველს გააჩნია უფლება შეაჩეროს სამუშაოები და განახორციელოს კანონით გათვალისწინებული სასაქციოები.

6.8. მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოების შესრულების დროს გამოიყენოს მხოლოდ ის მასალები, რომელთა ხარისხი შეესაბამება საქართველოში და საერთაშორისო მოქმედ სტანდარტებსა და ნორმებს, წინააღმდეგ შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია გამოიყენოს მიმწოდებლის მიმართ პასუხისმგებლობის ღონისძიებები.

7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

7.1. შესყიდვის ობიექტი ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების ან შუალედური მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ის გაფორმების შემდეგ. ამასთან, შესრულებული სამუშაოების (ან მისი ნაწილის) დასრულების თარიღად ჩაითვლება მიღება-ჩაბარების აქტით განსაზღვრული სამუშაოს დასრულების თარიღი.

7.2. შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ის გაფორმებაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს შსს ლოჯისტიკის დეპარტამენტის შესაბამისი უფლებამოსილი პირი ან/და სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო ან/და შემსყიდველის მიერ შერჩეული სხვა შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე იურიდიული პირი. სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან/და შემსყიდველის მიერ შერჩეული სხვა შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე იურიდიული პირის მომსახურების ღირებულების ანაზღაურებას უზრუნველყოფს შემსყიდველი.

7.3. შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ის გაფორმებაზე უფლებამოსილ პირად შსს ლოჯისტიკის დეპარტამენტის შესაბამისი უფლებამოსილი პირის ან/და შემსყიდველის მიერ შერჩეული სხვა შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე იურიდიული პირის განსაზღვრის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია მიღება-ჩაბარება განახორციელოს მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილ შუალედურ მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ში მითითებული მოცულობების თაობაზე მომზადებული სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან შემსყიდველის მიერ შერჩეული სხვა აკრედიტებული პირის დასკვნის საფუძველზე. აღნიშნული დასკვნის მომზადების მომსახურების ღირებულების ანაზღაურებას უზრუნველყოფს შემსყიდველი.

7.4. მიმწოდებლის მიერ შუალედურ მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ში და 7.3 პუნქტით განსაზღვრული დასკვნაში არსებულ მოცულობებს შორის შეუსაბამობის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია დააკორექტიროს შუალედური მიღება-ჩაბარებები ხსენებული დასკვნის საფუძველზე, დასკვნაში მითითებული მოცულობების შესაბამისად.

7.5. შესყიდვის ობიექტის (მისი ნაწილის, ეტაპის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

7.6. სამუშაოს ეტაპობრივი მიღება იწარმოებს შემდეგი წესით: მიმწოდებელი ყოველი საანგარიშო პერიოდის დასრულებიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში წარუდგენს ხელშეკრულების 6.2. და 7.2. პუნქტებში მითითებულ პირებს საანგარიშო პერიოდში შესრულებული სამუშაოების შუალედურ მიღება-ჩაბარების აქტს რომელიც მომზადებული უნდა იყოს წინამდებარე ხელშეკრულებაში მოცემული ნიმუშის შესაბამისად (გარდა დემონტაჟის და/ან ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოებისა, რომლებზეც წარმოდგენილი უნდა იყოს შუალედური ან/და საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტი ფორმა #2-ის ან/და ფორმა #3-ის სახით), რომელშიც აისახება შესრულებული სამუშაოს მოცულობა, ღირებულება და აქტით განსაზღვრული შესრულებული სამუშაოს ღირებულების კორექტირება ინდექსაციის გათვალისწინებით, ხოლო ხელშეკრულების 6.2. და 7.2. პუნქტით განსაზღვრული პირები, 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის განმავლობაში, ამოწმებენ აქტით განსაზღვრული სამუშაოების მოცულობას, ხარისხს და მათ შესაბამისობას საპროექტო დოკუმენტაციასთან და უზრუნველენ მიმწოდებელს დადასტურებულ აქტს, ან/და იგივე ვადაში წერილობით აცხადებენ მიმწოდებელს წარმოდგენილი აქტის დამოწმებაზე დასაბუთებულ უარს. ხელშეკრულების 7.2. პუნქტით განსაზღვრული პირის მიერ აქტის დადასტურება გულისხმობს, რომ აქტით განსაზღვრული სამუშაო მიღებულია შემსყიდველის მიერ, რაც წარმოშობს მისი ანაზღაურების ვალდებულებას.

7.7. თუ შემსყიდველი (ხელშეკრულების 6.2. და 7.2. პუნქტებით განსაზღვრული პირები) ხელშეკრულების 7.6. პუნქტში მითითებულ შუალედურ ან/და საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტს, მისთვის აღნიშნული აქტის ჩაბარებიდან 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის ვადაში არ მოაწერს ხელს ან არ შეატყობინებს მიმწოდებელს აქტის დამოწმებაზე დასაბუთებულ უარს, მაშინ ითვლება, რომ აქტით განსაზღვრული სამუშაო მიღებულია.

7.8. თუ შემსყიდველს გააჩნია დასაბუთებული პრეტენზია მიმწოდებლის მიერ შესრულებული სამუშაოს მოცულობის ან/და ხარისხის ან/და საპროექტო დოკუმენტაციასთან შესაბამისობის მიმართ და ამ მიზეზით ის არ მიიღებს შუალედური ან/და საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტით განსაზღვრულ შესრულებულ სამუშაოს, ხოლო მიმწოდებელი ეთანხმება წარმოდგენილ პრეტენზიას, მიმწოდებელი ვალდებულია გონივრულ ვადაში აღმოფხვრას ის საფუძვლები, რასაც ემყარება პრეტენზია და ხელმოკრედ წარუდგინოს შემსყიდველს შუალედური ან/და საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტი ხელშეკრულებით დადგენილი წესით.

7.9. თუ მხარეები ვერ თანხმდებიან მიმწოდებლის მიერ შესრულებული სამუშაოების ხარისხზე ან/და საპროექტო დოკუმენტაციასთან შესაბამისობის თაობაზე ისინი ვალდებულნი არიან იხელმძღვანელონ შესაბამისი აკრედიტაციის მქონე საექსპერტო დაწესებულების მიერ აღნიშნულ საკითხზე გაცემული დასკვნით. საექსპერტო დაწესებულებას მხარეები შეარჩევენ 1 კვირის განმავლობაში, თუ მოცემული პერიოდი ჩაივლის უშედეგოდ, მაშინ ექსპერტიზას ჩაატარებს სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო.

8. ანგარიშსწორება და ანგარიშსწორების ვალუტა

- 8.1. ანგარიშსწორება განხორციელდება ეტაპობრივად, უნაღლო ანგარიშსწორებით ლარში.
- 8.2. სახელშეკრულებო ღირებულებიდან არაუმეტეს 23 280 000 ლარის გადახდა განხორციელდება შს სამინისტროს თანამშრომლების კუთვნილი წილიდან (ხელშეკრულების 8.11 პუნქტის შესაბამისად შექმნილი ანგარიშიდან) ხოლო დარჩენილი თანხის გადახდა განხორციელდება სახელმწიფო ბიუჯეტის ფარგლებში.
- 8.3. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულების პერიოდში ანაზღაურებული იქნება სახელშეკრულებო ღირებულების 70%, საიდანაც:
- ა) სახელშეკრულებო ღირებულების 15%-ის გადახდა განხორციელდება წინასწარი ანგარიშსწორების გზით, მიმწოდებლის მიერ საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულების ან სსიპ „საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური“-ს მიერ ლიცენზირებული სადაზღვევო კომპანიის მიერ გაცემული საავანსო თანხის იდენტური ოდენობის უპირობო გამოუთხოვადი გარანტიის წარმოდგენის საფუძველზე.
 - ბ) სახელშეკრულებო ღირებულების 55%-ის გადახდა განხორციელდება ეტაპობრივად მხარეთა შორის გაფორმებული შუალედური ან/და საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.
- 8.4. სახელშეკრულებო ღირებულების 25%-ის გადახდა განხორციელდება სამუშაოების დასრულების წლის მომდევნო კალენდარული წლის მეორე კვარტალში, მაგრამ არაუადრეს 2026 წლის 01 აპრილსა.
- 8.5. დარჩენილი, სახელშეკრულებო ღირებულების 5%-ის გადახდა განხორციელდება დეფექტებზე პასუხისმგებლობის პერიოდის (საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტით გათვალისწინებულ სამუშაოთა დასრულების თარიღიდან 2 წელი) დასრულების შემდეგ.
- 8.6. ზემოაღნიშნული პირობების გათვალისწინებით, წლების მიხედვით, შემსყიდველის მიერ ანაზღაურება განხორციელდება შემდეგი გრაფიკითა და პირობებით, 2022 წლის განმავლობაში ანაზღაურებული იქნება ხელშეკრულების ღირებულების არანაკლებ 15% (ავანსი), 2023 წელს არანაკლებ 20%, 2024 წელს არანაკლებ 20%, 2025 წელს არანაკლებ 15%. ამასთან შემსყიდველი უფლებამოსილია, აღნიშნული პროცენტული ოდენობის მიღმა ხსენებულ წლებში შესრულებული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურება მოახდინოს, როგორც სამუშაოების შესრულების წელს ასევე, არაუგვიანეს სამუშაოების შესრულების მომდევნო წლის 31 მარტისა.
- 8.7. შესრულებულ სამუშაოზე საბოლოო ანგარიშსწორება (ხელშეკრულების 8.11 პუნქტის შესაბამისად შექმნილ ანგარიშზე არსებული თანხების გამოთავისუფლება) განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში, წინამდებარე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების გათვალისწინებით.
- 8.8. საბოლოო ანგარიშსწორება (ხელშეკრულების 8.11 პუნქტის შესაბამისად შექმნილ ანგარიშზე არსებული თანხების გამოთავისუფლება) განხორციელდება ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.
- 8.9. ეტაპობრივად მოწოდებული შესყიდვის ობიექტის ანგარიშსწორება განხორციელდება ეტაპობრივად, შუალედური ან/და საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტების ხელმოწერისა და შესაბამისი ანგარიშფაქტურის წარმოდგენიდან 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის ვადაში. შემსყიდველი უფლებამოსილია ეტაპობრივად მოწოდებული შესყიდვის ობიექტის ანგარიშსწორება განხორციელოს ხელშეკრულების მთლიანი ღირებულების არაუმეტეს 70%-ის ოდენობით.
- 8.10. შემსყიდველი იტოვებს უფლებას არ მოახდინოს საბოლოო ანგარიშსწორება (ხელშეკრულების 8.11 პუნქტის შესაბამისად შექმნილ ანგარიშზე არსებული თანხების გამოთავისუფლება) მანამ, სანამ არ მოხდება იმ ხარვეზების აღმოფხვრა, რომელიც საჭიროა საცხოვრებელი კორპუსის ექსპლუატაციაში მიღებისთვის.
- 8.11. შესაბამისი წერილობითი შეთანხმების საფუძველზე გაიხსნება ცალკე საბანკო ანგარიში, სადაც ჩაირიცხება შს სამინისტროს თანამშრომელთა კუთვნილი წილი, რომლის გამოყენება მოხდება შემსყიდველი ორგანიზაციის კონტროლით ხელშეკრულების მოქმედების მთელს პერიოდში, აკრედიტივის უზრუნველსაყოფად გამოყენებული თანხები განთავსებული იქნება ბანკის შიდა ანგარიშზე (45 კლასის ანგარიში) და მისი შემცირება მოხდება აკრედიტივით განხორციელებული გადახდების შესაბამისად, ანგარიშზე არ გავრცელდება ინკასო/ყადალა ან/და სხვა საჯარო სამართლებრივი შეზღუდვა და შესაბამისად გადახდები განხორციელდება ყოველგვარი შეფერხების გარეშე. დარჩენილი ღირებულების ანაზღაურება განხორციელდება ბიუჯეტის სახსრებით.
- 8.12. აკრედიტივის მომსახურების საკომისიო თანხის გადახდის ვალდებულება ბანკის წინაშე ეკისრება მიმწოდებელს.
- 8.13. წინასწარი ანგარიშსწორების (ავანსი) გამოყენება შესაძლებელია ხელშეკრულების საერთო ღირებულების არაუმეტეს 15%-ის ოდენობით ბიუჯეტის კუთვნილი წილიდან, შინაგან საქმეთა სამინისტროში საავანსო თანხის იდენტური ოდენობის უპირობო გამოუთხოვადი გარანტიის წარმოდგენის საფუძველზე, (რომლის მოქმედების ვადა 90 (ოთხმცოცდაათი) კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს სამუშაოების შესრულების ვადას) რაც გულისხმობს, გარანტი იღებს ვალდებულებას, ყოველგვარი უარყოფისა და გასაჩივრების უფლების გარეშე, წერილობითი მოთხოვნის წარდგენიდან მომდევნო 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში, გადაუხადოს ბენეფიციარს თანხა თუ პრინციპალმა არ შეასრულა ბენეფიციართან გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. ავანსად გადახდილი თანხის გამოქვითვა განხორციელდეს ხელშეკრულების 8.14 პუნქტით გათვალისწინებული პირობის შესაბამისად.
- 8.14. ხელშეკრულების 8.13 პუნქტით გათვალისწინებული ავანსად მიღებული თანხის გამოქვითვა მოხდება ხელმოწერილი შუალედური მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე პროპორციით 15%/85%, საიდანაც 15% დაკავდება ჩარიცხული ავანსის გამოსაქვითად, ხოლო დარჩენილი 85%-ის ანაზღაურება მოხდება მიმწოდებლის სასარგებლოდ, არაუმეტეს ხელშეკრულების მთლიანი ღირებულების 70%-ის ოდენობისა. პირველ ჯერზე მოხდება ბიუჯეტის კუთვნილი წილიდან ანაზღაურება. მიმწოდებლის წერილობითი მოთხოვნის შემთხვევაში შესაძლებელია მოხდეს ავანსად მიღებული თანხის სრულად გამოქვითვა.

8.15. შემსყვიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების 8.13 პუნქტით ავანსად მიღებული თანხის დაუმოწმებელი (გამოუქვითავი) ნაწილი (ხელშეკრულების 8.14 პუნქტში მითითებული პროპორციული გამოქვითვის გათვალისწინებით) სრულად დაფაროს საბოლოოდ წარმოდგენილი შუალედური მიღება-ჩაბარების აქტიდან.

8.16. იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელი თეთრ სიაში ყოფნის გამო, წინასწარი ანგარიშსწორების დროს, შემსყვიდველ ორგანიზაციას წარუდგენს წინასწარ გადასახდელი თანხის ნახევარი ოდენობის საავანსო გარანტიას, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, შემსყვიდველი უფლებამოსილია წინასწარი ანგარიშსწორებისას გადახდის თანხა გამოქვითოს შემდეგი პირობის დაცვით: თავდაპირველად, შემსყვიდველის მიერ, დაიფარება მიმწოდებლისთვის ავანსად გადარიცხული თანხის ის ნახევარი, რომლის უზრუნველსაყოფადაც, მიმწოდებელს თეთრ სიაში ყოფნის გამო, შემსყვიდველ ორგანიზაციაში, არ ექნება წარმოდგენილი შესაბამისი საავანსო საბანკო გარანტია.

8.17. მიმწოდებლის წერილობითი მოთხოვნის შემთხვევაში შესაძლებელია მოხდეს ხელშეკრულების 8.13 პუნქტით გათვალისწინებული ავანსად მიღებული თანხის სრულად გამოქვითვა.

8.18. ხელშეკრულების 8.13 პუნქტის მიზნისთვის წინასწარი ანგარიშსწორების (საავანსო) გარანტია წარმოდგენილი ან/და გადაზღვეული უნდა იყოს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულების ან სსიპ „საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური“-ს მიერ ლიცენზირებული სადაზღვევო კომპანიის მიერ, ეროვნულ ვალუტაში - ლარში.

9. პროექტის დაზღვევა

9.1. სამშენებლო სამუშაოების (გარდა სადემონტაჟო სამუშაოებისა) დაწყებამდე ობიექტის დაზღვევის მიზნით მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებითა და ფრანშიზის ღირებულების გათვალისწინებით, შემსყვიდველისა და თავისი კომპანიის სასარგებლოდ, წარმოადგინოს საქართველოში რეგისტრირებული საფინანსო ინსტიტუტიდან წარმოდგენილი დაზღვევის პოლისი ხელშეკრულების დანართი N3-ის შესაბამისად.

10. ინდექსაცია

10.1. წინამდებარე პროექტში გამოყენებულ იქნეს „ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების ხელშეწყობის მიზნით ფასთა ინდექსაციის გამოყენების საფუძვლების, პრინციპებისა და წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 27 აპრილის N753 განკარგულების მე-7 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად განსაზღვრული ინდექსი ხელშეკრულების დანართი N4-ის შესაბამისად.

11. ხელშეკრულების შესრულების გარანტია

11.1. იმისათვის, რომ თავიდან იქნას აცილებული რისკი, წარმოქმნილი მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შეუსრულებლობის გამო, გამოიყენება გარანტირების მექანიზმის შემდეგი სახე: საბანკო გარანტია, ხელშეკრულების საერთო ღირებულების 2.5%-ის ოდენობით.

11.2. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიმწოდებელმა წარმოადგინა სს „თიბისი ბანკის“ მიერ გაცემული, ხელშეკრულების უზრუნველყოფის უპირობო და გამოუთხოვადი საბანკო გარანტია N129990-12341645 გაცემული 2022 წლის 20 დეკემბერს თანხით 1 562 040,75 ლარი და სს, „საქართველოს ბანკის“ მიერ გაცემული, ხელშეკრულების უზრუნველყოფის უპირობო და გამოუთხოვადი საბანკო გარანტია NPE1025741-22 გაცემული 2022 წლის 19 დეკემბერს თანხით 1 562 040,75 ლარი რომლებიც წარმოადგენენ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2026 წლის 20 მარტის ჩათვლით.

11.3. მიმწოდებელს მისი წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე ხელშეკრულების შესრულების უზრუნველსაყოფად გაცემული საბანკო გარანტია, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრული და ჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, დაუბრუნდება მხარეთა შორის შესყიდვის ობიექტის საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

11.4. მიმწოდებლისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყვიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მიმწოდებლის მოთხოვნისთანავე დაუბრუნოს მას ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია.

11.5. გარანტია არის უპირობო და გამოუთხოვადი, ე.ი გარანტიით გათვალისწინებული თანხები შემსყვიდველმა უნდა მიიღოს ყოველგვარი უარყოფისა და გასაჩივრების უფლების გარეშე, წერილობითი მოთხოვნის წარდგენიდან მომდევნო 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში, თუ პრინციპალმა არ შეასრულა ბენეფიციართან გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. გარანტიის თანხა არ მცირდება შესრულებული სამუშაოების პროპორციულად

12. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა (საჯარიმო სანქციები, ფორმა, ოდენობა და გადახდის ვადები)

12.1. ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულების დამდები მხარეების მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები.

12.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების (გარდა შესრულების ვადის დარღვევისა) შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება ჯარიმის გადახდა ყოველ ჯერზე ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

12.3. მიმწოდებელის ბრალეულობით, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის (ხელშეკრულების 3.1, 3.2, 3.3, 3.4, 3.5, 3.6, 3.7, 4.2 და 4.4 პუნქტები), მათ შორის ხარვეზის აღმოფხვრის ან/და ნაკლის

გამოსწორებისათვის განსაზღვრული ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.015%-ის ოდენობით.

12.4. შემსყიდველის მიერ, მიმწოდებლის ბრალეულობის გამო ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელს ჩამოერთმევა ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია სრულად.

12.5. საჯარიმო სანქციით დაკისრებული თანხა გადახდილ უნდა იქნას მხარისთვის აღნიშნულის თაობაზე გადაწყვეტილების (წერილი ჯარიმის დაკისრების თაობაზე) ჩაბარებიდან ან/და 18.2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში მითითებულ ელექტრონულ ფოსტაზე შეტყობინების გადაგზავნიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში.

12.6. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს ხელშეკრულების მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1. ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ.

13.2. ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი.

13.3. ხელშეკრულების შეწყვეტისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

13.4. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.5. შემსყიდველს უფლება აქვს მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ, მათ შორის შემდეგ შემთხვევებში:

- ა) მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ორჯერ დარღვევის შემთხვევაში;
- ბ) სამუშაოების გეგმა-გრაფიკის ორჯერ ზედიზედ დარღვევისთვის, თუ სამუშაოების გეგმა-გრაფიკით განსაზღვრული ეტაპის შესრულების ვადა გადაცილებულია 50 კალენდარულ დღეზე მეტი ვადით.
- გ) ხელშეკრულების 3.1 პუნქტით განსაზღვრული ინფორმაცია-დოკუმენტების ხელშეკრულების 3.2 პუნქტით განსაზღვრულ ვადაში წარმოუდგენლობის შემთხვევაში.
- დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში, მათ შორის მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ნებისმიერი ისეთი დარღვევის დროს, რაც შეუძლებელს ხდის ნორმალური სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელებას, ან იწვევს შემსყიდველის ინტერესის დაკარგვას სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელებისადმი.

13.6. ხელშეკრულება შესაძლებელია შეწყდეს ურთიერთშეთანხმების საფუძველზე თუ ხელშეკრულების 3.2 პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილ ინფორმაცია-დოკუმენტები, თუ კვლავ მიუღებელი იქნება შემსყიდველისთვის, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე შეწყდება წინამდებარე ხელშეკრულება, რაც არ წარმოშობს მხარეებისთვის დამატებით ვალდებულებებს ან საჯარიმო სანქციებს

13.7. ამ მუხლის პირველ, მე-5 და მე-6 პუნქტებში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს ღირებულება.

14. ფორს-მაჟორი

14.1.11.1 ფორსმაჟორი - სტიქიური მოვლენები, გაფიცვები, საბოტაჟი ან სხვა საწარმოო არეულობა, სამოქალაქო მღელვარება, ომი, ბლოკადა, აჯანყება, მიწისძვრა, მეწყრების ჩამოწოლა, ეპიდემია, წყალდიდობა და სხვა მსგავსი მოვლენები, რომელიც არ ექვემდებარება მხარეთა კონტროლს და რომელთა თავიდან აცილებაც მათ მიერ შეუძლებელია. ფორსმაჟორად არ ითვლება მიმწოდებლის ფინანსური მდგომარეობის გაუარესება, თუ ეს ჩამოთვლილ მოვლენებთან არ არის დაკავშირებული. ამ დროს მხარეებს შორის ხელშეკრულების შესაბამისად გადასახდელ თანხაზე ფორსმაჟორის შემთხვევაში გათვალისწინებული შეღავათები არ ვრცელდება.

14.2.11.2 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.

14.3.11.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ, რომელსაც თან უნდა ახლდეს შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტაცია, მათ შორის, საჯარო სამართლის კორპორაცია „საქართველოს სავაჭრო სამრეწველო პალატის“ დასკვნა ფორსმაჟორის დადასტურების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისა და მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამოიწვიოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

14.4.იმ შემთხვევაში თუ ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო, იცვლება ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე პირობა, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების სახით.

15. უსაფრთხოება და გარემოს დაცვა

15.1. მიმწოდებელმა სამუშაოების განხორციელების განმავლობაში საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის და არსებული ნორმების შესაბამისად, უნდა მიიღოს აუცილებელი ზომები ტექნიკური უსაფრთხოების და გარემოს დაცვის უზრუნველსაყოფად.

15.2. მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს სამუშაო ადგილის ფარგლებში გარემოზე ეკოლოგიური ზემოქმედების, მუშაობით გამოწვეული ხმაურის, ვიბრაციის და მტვრის გავლენის მინიმუმადე დაყვანა.

15.3. მიმწოდებელი საქართველოში ტექნიკური უსაფრთხოების და გარემოს დაცვასთან დაკავშირებით მოქმედი კანონების და ნორმების შესაბამისად ვალდებულია მიიღოს უსაფრთხოების აუცილებელი ზომები მშენებლობის ზონაში ხანძრის გაჩენის და აფეთქების თავიდან ასაცილებლად.

15.4. მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოები შეასრულოს საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებით და წესებით, აგრეთვე პროექტით გათვალისწინებული უსაფრთხოების წესების დაცვით. აღნიშნულ ნორმათა დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს ყოველ კონკრეტულ დარღვევაზე დაეკისრება შესაბამისი კანონმდებლობით გათვალისწინებული ჯარიმა.

15.5. ზემოაღნიშნული ჯარიმის გადახდა მიმწოდებელს არ ათავისუფლებს დარღვევის აღმოფხვრისაგან.

16. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

16.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

16.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება (მათ შორის მხარეთა შეთანხმებით ხელშეკრულების შეწყვეტა) უნდა გაფორმდეს წერილობით - მხარეთა შეთანხმების სახით და დანართის სახით უნდა დაერთოს ხელშეკრულებას. მხარეთა წერილობითი შეთანხმება ცვლილების თაობაზე, ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

16.3. ხელშეკრულების საბოლოო ღირებულება განისაზღვრება ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების შესაბამისად.

17. ღირებულება

17.1. მხარეთა შეთანხმებით დასაშვებია ხელშეკრულების საერთო ღირებულების შეცვლა.

17.2. ხელშეკრულების ღირებულების პარამეტრების (ერთეულის ფასის) შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

17.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა. ორპარტიული გამოსარიცხად ინდექსაციის საფუძველზე ხელშეკრულების ფასის შესაძლო გაზრდა არ განიხილება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით განსაზღვრულ შემთხვევად და შესაბამისად ინდექსაციის შედეგად ფასის შესაძლო გაზრდა არ არის შეზღუდული 10%-ანი ზღვრით.

17.4. ხელშეკრულების ღირებულების შეცვლა ფორმდება მხარეთა წერილობითი შეთანხმების სახით (ინდექსაციით გამოწვეული ცვლილების შემთხვევაში დასაშვებია, ყველა ჯერზე არ გაფორმდეს წერილობითი შეთანხმება).

18. ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის

18.1. ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას. წერილობითი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს, იგზავნება საფოსტო გზავნილის სახით. ოპერატიული კავშირის დამყარების მიზნით დასაშვებია შეტყობინების მეორე მხარისათვის მიწოდება ტელეფონის, ელექტრონული ფოსტის ან ფაქსის გაგზავნის გზით იმ პირობით, რომ შეტყობინების ორიგინალი შემდგომში წარედგინება მეორე მხარეს უშუალოდ ან ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე საფოსტო გზავნილის გაგზავნის მეშვეობით.

18.2. ტელეფონით, ელექტრონული ფოსტით ან/და ფაქსით ურთიერთობისათვის გამოყენებულ იქნება:

ა) მიმწოდებლის შემდეგი რეკვიზიტები: საკონტაქტო პირი: გიორგი მიხანაშვილი, ტელეფონის ნომერი: 591 01 61 21, საკონტაქტო ელექტრონული ფოსტა: g.mikhanashvili@anagi.ge

ბ) შემსყიდველის შემდეგი რეკვიზიტები: საკონტაქტო პირი: გურამი იაშვილი, ტელეფონის ნომერი: 599 71 71 51, საკონტაქტო ელექტრონული ფოსტა: g.iashvili@mia.gov.ge

18.3. ხელშეკრულებაში მონაწილე ორივე მხარე ვალდებულია, ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში საკონტაქტო პირ(ებ)ის ან ინფორმაციის ცვლილება წერილობითი სახით აცნობოს მეორე მხარეს.

18.4. შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

19. სადაო საკითხების გადაწყვეტა

- 19.1. ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზე, რომ ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ მათ შორის წარმოქმნილი ნებისმიერი დავა შესაძლებელია გადაწყდეს მხარეთა შეთანხმებით.
- 19.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხების თაობაზე შეთანხმებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.
- 19.3. ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული უფლებებით გათვალისწინებული ვალდებულებების დაცვა და ამ უფლებების გამოყენების პროცესში წარმოშობილი დავების მოგვარება ეკისრება მიმწოდებელს
- 19.4. ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლები.
- 19.5. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

20. სხვა პირობები

- 20.1. ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.
- 20.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე და ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
- 20.3. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.
- 20.4. ხელშეკრულების მიზნებისთვის საანგარიშო პერიოდი არის - კალენდარული თვის პირველი რიცხვიდან თვის ბოლო რიცხვის ჩათვლით პერიოდი ან, თუ ხელშეკრულების გაფორმება დაემთხვა კალენდარული თვის პირველი რიცხვის გარდა ნებისმიერ სხვა რიცხვს, მაშინ პირველი საანგარიშო პერიოდი იქნება ხელშეკრულების გაფორმების მომენტიდან თვის ბოლო რიცხვის ჩათვლით პერიოდი.
- 20.5. „ხელშეკრულების“ მუხლ(ებ)ი, პუნქტ(ებ)ი დანომრილია და დასათაურებულია მხოლოდ მოხერხებულობისათვის და ამ ფაქტს „ხელშეკრულების“ ინტერპრეტაციისათვის მნიშვნელობა არ ენიჭება. მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის დასათაურებაში ან დანომვრაში ცდომილების/სხვაობის არსებობის შემთხვევაში, გამოიყენება ამავე მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის შესაბამისი შინაარსის მქონე მუხლ(ებ)ი, პუნქტ(ებ)ი ან/და ქვეპუნქტ(ებ)ი.
- 20.6. „ხელშეკრულების“ ტექსტში მექანიკური ან/და ტექნიკური შეცდომის ან/და ხარვეზის არსებობის შემთხვევაში „მხარეთა“ მიერ, აღნიშნული შეცდომა ან/და ხარვეზი განხილული და განმარტებული უნდა იყოს „ხელშეკრულების“ შესაბამისი წინადადების (წინადადებების) ან/და შინაარსიდან გამომდინარე. იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული შეცდომა ან/და ხარვეზი არ შეესაბამება „ხელშეკრულების“ სათანადო წინადადებას/წინადადებებს ან შინაარსს, მას (ხარვეზი/შეცდომა) „ხელშეკრულების“ შინაარსის განმარტებასთან დაკავშირებით არ ექნება (არ მიენიჭება) რაიმე მნიშვნელობა.
- 20.7. მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთული ან შემსყიდველისთვის გადაცემული პერსონალური ინფორმაცია, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, შესაძლებელია დამუშავდეს სახელმწიფო შესყიდვის მიზნებისთვის.

21. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული დამატებითი პირობები

- 21.1. სასახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ნებისმიერი პირობის ცვლილება დასაშვებია იქნება მხოლოდ დამფინანსებელი ბანკ(ებ)ის წინასწარი წერილობითი თანხმობით, ამასთან ხელშეკრულების პირობების ცვლილების შესახებ თანხმობის მიღებასთან დაკავშირებულ კომუნიკაციას, დამფინანსებელ ბანკ(ებ)თან განახორციელებს მიმწოდებელი;
- 21.2. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებიდან გამომდინარე მიმწოდებლის ნებისმიერი მოთხოვნის ნებისმიერი ფორმით განკარგვა, მათ შორის შეუზღუდავად მოთხოვნაზე უარის თქმა ან/და ვალის პატიება, ან/და ვალის გადაკისრება, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლებებისა და ვალდებულებების მთლიანად ან ნაწილობრივ გადაცემა დასაშვებია იქნება მხოლოდ დამფინანსებელი ბანკ(ებ)ის წინასწარი წერილობითი თანხმობით;
- 21.3. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებიდან გამომდინარე შემსყიდველის მიერ მისი ვალდებულებების/ვალის გადაცემა/გადაკისრება ნებისმიერი პირისათვის დასაშვებია იქნება მხოლოდ მიმწოდებლისა და დამფინანსებელი ბანკ(ებ)ის წინასწარი წერილობითი თანხმობით;
- 21.4. შემსყიდველის მიერ მიმწოდებლის სასარგებლოდ ნებისმიერი სახის ანაზღაურება ჯეროვნად გადახდილად ჩაითვლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ანაზღაურების ჩარიცხვა სრულად მოხდება მხოლოდ შესაბამის დამფინანსებელ ბანკ(ებ)ში გახსნილ მიმწოდებლის საბანკო ანგარიშ(ებ)ზე. ამასთან, რამდენიმე დამფინანსებელი ბანკის არსებობის შემთხვევაში, აღნიშნული ანაზღაურება მიმწოდებლისთვის გადახდილ უნდა იქნას ზემოაღნიშნულ საბანკო ანგარიშებზე თანაბარწილად, დამფინანსებელი ბანკების რაოდენობის პროპორციულად.

მხარეთა მიერ გამოყენებულია ელექტრონული ხელმოწერები

ფასების ცხრილი

ქ. თბილისში, ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩა N69-ში (ს/კ: 01.14.01.011.001) 1100 ბინიანი პოლიციის ქალაქის მშენებლობა					
	ძირითადი საანგარიშო პოზიციები	განზომილების ერთეული	რაოდენობა	ერთეულის სავარაუდო ღირებულება (ლარი)	ჯამი (ლარი)
1	მრავალბინიან საცხოვრებელ შენობებში სრული საანგარიშო საცხოვრებელი ფართები	მ ²	77600	1420	110 192 000,00
2	ტერიტორიის კეთილმოწყობა (მათ შორის საყრდენი კედლების მოწყობა ასეთის აუცილებლობის შემთხვევაში) [მიუთითეთ ჯამური ღირებულება]	n/a	n/a	n/a	10 850 000,00
3	ტერიტორიაზე არსებული შენობა-ნაგებობების სადემონტაჟო სამუშაოები	n/a	n/a	n/a	290 000,00
სამშენებლო სამუშაოების სავარაუდო ღირებულების ჯამი					121 332 000,00

საპროექტო საკონსულტაციო მომსახურების ღირებულების გაანგარიშება			
	საპროექტო სამუშაოების ძირითადი პოზიციები	სამშენებლო ღირებულების % (არ მოიცავს ტერიტორიაზე არსებული შენობა-ნაგებობების სადემონტაჟო სამუშაოების ღირებულება)	ჯამი (ლარი)
1	განაშენიანების დეტალური გეგმა და საპროექტო დოკუმენტაცია	3%	3 631 260,00

მომსახურების საერთო ღირებულება (დღგ-ის ჩათვლით)	124 963 260,00
--------------------------------------------------------	-----------------------

მხარეთა მიერ გამოყენებულია ელექტრონული ხელმოწერები

სამუშაოების შესრულების პირობები


შესყიდვის ობიექტის დასახელება

ერთი ხელშეკრულების ფარგლებში ქ. თბილისში, ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩა N69-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 01.14.01.011.001) 1100 ბინიანი პოლიციის ქალაქის მშენებლობის მიზნით ტერიტორიაზე არსებული შენობა-ნაგებობების სადემონტაჟო სამუშაოების, საჭირო განაშენიანების დეტალური გეგმის, არქიტექტურულ-სამშენებლო პროექტის მომზადებისა და მის საფუძველზე სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვა.

საპროექტო ტერიტორიის ზოგადი აღწერა

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქ. თბილისში, ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩა N69-ში;

მიწის ნაკვეთი დარეგისტრირებულია სახელმწიფო საკუთრებად (ს/კ: 01.14.01.011.001), რომლის ფართობია 152921.00 კვ.მ., სადაც განთავსებულია შენობა-ნაგებობები, რომელთა სრული დემონტაჟი და ტერიტორიის კეთილმოწყობა - გათვალისწინებული უნდა იქნეს პროექტირებისას;



მიწის ნაკვეთი ფუნქციური ზონის მიხედვით მიეკუთვნება ნაწილობრივ საზოგადოებრივ საქმიან ზონა 1-ს (სზ-1), ხოლო ნაწილობრივ სატყეო ზონას. შემსყიდველი უზრუნველყოფს არსებული ზონების ცვლილებას **საცხოვრებელ ზონა (სზ-6)-დ, სადაც კ2=2,5 კ1=0,5 კ3=0,3.**

1.1. მომსახურების აღწერა და ტექნიკური დავალება

1.1.1. მომსახურების აღწერა

ერთი ხელშეკრულების ფარგლებში ქ. თბილისში, ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩა N69-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 01.14.01.011.001) 1100 ბინიანი პოლიციის ქალაქის მშენებლობის მიზნით ტერიტორიაზე არსებული შენობა-ნაგებობების სადემონტაჟო სამუშაოების, საჭირო განაშენიანების

დეტალური გეგმის, არქიტექტურულ-სამშენებლო პროექტის მომზადებისა და მის საფუძველზე სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვა.

საპროექტო ობიექტის (ობიექტების) განთავსებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს ტერიტორიის საკადასტრო საზღვრები (როგორც სამეზობლო ისე, წარმოსახვითი და საზოგადოებრივი მიჯნის ზონები), სიმაღლის სხივი და საპროექტო ფუნქციური ზონის შესაბამისი კოეფიციენტების რაციონალური ათვისება, ასევე, მოქმედი კანონმდებლობის სხვა მოთხოვნები, მ.შ. მშენებლობის უსაფრთხოების ნორმების დაცვა;

პროექტის შემუშავებისას გათვალისწინებული უნდა იყოს ობიექტის არქიტექტურული იერსახის და გამოყენებული მასალის ადგილმდებარეობასთან შესაბამისობა.

1.1.2. ტექნიკური დავალება

1.1.2.1. გასაწევი მომსახურების მოცულობა და ძირითადი მოთხოვნები.

დავალების ფარგლებში უნდა დამუშავდეს განაშენიანების გენერალური გეგმის კონცეფცია; მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (სახლების) სრული საპროექტო დოკუმენტაცია, რომელიც მოიცავს ტოპო-გეოდეზიურ, გეოლოგიურ, არქიტექტურულ, კონსტრუქციულ, შიდა და გარე საინჟინრო კომუნიკაციების ნაწილებს, სატრანსპორტო და გამწვანების სქემებს, ქალაქის არსებულ ქსელებზე მიერთების და ტერიტორიის კეთილმოწყობის პროექტებს და ა.შ.

პროექტირებისას გათვალისწინებული უნდა იყოს კლიმატური ფაქტორები და შესაბამისი დატვირთვები შენობაზე, რომელიც განისაზღვრება სამშენებლო ნორმების და წესების „სამშენებლო კლიმატოლოგია“ (პნ 01.05-08) მონაცემების საფუძველზე.

შენობის/შენობების საძირკვლების და კონსტრუქციული ელემენტების დაპროექტებისას გათვალისწინებული უნდა იყოს სამშენებლო ნორმების და წესების „სეისმომდებელი მშენებლობა“ (პნ 01.01-09), „შენობების და ნაგებობების ფუძეები“ (პნ 02.01-08) მოთხოვნები.

დაპროექტებისას გამოყენებული ფუძის გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლები წინასწარ განხილული უნდა იყოს დამკვეთთან.

სამშენებლო მოედნის საანგარიშო სეისმურობად მიღებული უნდა იყოს 8 ბალი;

გადახურვის და კედლის თბოიზოლაცია - შემოთავაზებული უნდა იქნას კლიმატური პირობების შესაბამისად, ენერგოეფექტურობის გათვალისწინებით.

ძირითადი და დამხმარე კარკასების გაანგარიშებაში გათვალისწინებული უნდა იყოს სამშენებლო ნორმების და წესების СНиП 2.01.07-85 და СНиП II-23-81 მოთხოვნები.

პროექტის მომზადებისას გათვალისწინებული იყოს მოქმედი სამშენებლო წესების და ნორმების მოთხოვნები:

- საქართველოს კანონი „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“;
- საქართველოს მთავრობის 2019 წლის 03 ივნისის N261 დადგენილება „ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების შესახებ“;
- საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 დეკემბრის N732 დადგენილება ტექნიკური რეგლამენტის - „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების“ დამტკიცების თაობაზე
- საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის N255 დადგენილება მშენებლობის ნებართვის

გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“;

- საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის N41 დადგენილება ტექნიკური რეგლამენტის „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე;
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის დადგენილება №14-39; ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ ;
- საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის დადგენილება №257 განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების (მათ შორის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების) მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ;

კონტრაქტორმა კომპანიამ უნდა იხელმძღვანელოს შემდეგი პრინციპებით:

- ✓ შენობის/შენობების გარე იერსახე სასურველია ეხმიანებოდეს არსებულ გარემოს;
- ✓ პროექტანტმა უნდა გაითვალისწინოს საპროექტო ტერიტორიის სპეციფიკაციები ტერიტორიაზე მისასვლელი გზები და შესაბამისად დაგეგმოს შენობა-ნაგებობების განლაგება, პარკინგისა და ეზოს კეთილმოწყობა;
- ✓ მინიმუმამდე უნდა იქნეს დაყვანილი გარემოზე ზემოქმედება.
- ✓ კონსტრუქციული თვალსაზრისით შენობა უნდა აკმაყოფილებდეს სიმტკიცისა და მდგრადობის მოთხოვნებს და უზრუნველყოფდეს მის უსაფრთხო ექსპლუატაციას ნორმებით გათვალისწინებულ დატვირთვებზე (მათ შორის სეისმურ დატვირთვაზე).

1.1.2.2. შენობის ფუნქციური ზონები:

საპროექტო მრავალბინიანი საცხოვრებელი შენობა/შენობები უნდა მოიცავდეს შემდეგ ფუნქციურ დანიშნულებებს:

- 1) საცხოვრებელი ფართობი - ბინები (საზაფხულო (აივანი) და დამხმარე/სათავსო სივრცეების ჩათვლით); თითოეული ბინა უნდა მოიცავდეს 1 სველ წერტილს, საერთო, სამზარეულო-სასადილო (საერთო და სამზარეულო-სასადილო სივრცე შესაძლებელია გაერთიანებული იყოს ერთ სივრცედ) და საძინებელ სივრცეებს, საზაფხულო და დამხმარე/ტექნიკურ სივრცეებს. გეგმარება უნდა იყოს მაქსიმალურად ოპტიმალური და ბუნებრივი განათებით უზრუნველყოფილი;
- 2) საერთო სარგებლობის კიბის უჯრედები, სადარბაზოები და დერეფნები;
- 3) სამგზავრო და სატვირთო ლიფტები (საჭიროების შემთხვევაში);
- 4) ტექნიკური ოთახები;
- 5) პროექტის ფარგლებში ასაშენებელ შენობებში ბინების განაწილება:
 - 65-75 მ2 ფართობის ბინები – 100%;
 - სულ 1100 ბინა.
- 6) განაშენიანების გენერალური გეგმით განსაზღვრული გარე ტერიტორია უნდა იყოს კეთილმოწყობილი.
- 8) შენობა-ნაგებობა და ტერიტორია სრულად უნდა იყოს მორგებული შშმ პირების საჭიროებებზე მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
- 9) შენობების ფასადი, გადახურვა და საერთო სივრცეები (სადარბაზო და კიბის უჯრედები) უნდა იყოს სრულად დასრულებული, ხოლო საცხოვრებელი ფართები უნდა ჩაბარდეს შემდეგ მდგომარეობაში:
 - კედლები და ტიხრები ამოყვანილი (ლესვის და მოპირკეთების გარეშე)
 - იატაკები მჭიმების გარეშე;
 - აივნები მოპირკეთებული;

- ბინაში შესასვლელი ცენტრალური ლითონის კარი მოწყობილი;
- ელ. ენერჯის და წყალ-კანალიზაციის ცენტრალური დგარები ბინებამდე მიყვანილი (დაქსელვის და ინდივიდუალური აღრიცხვის კვანძების მოწყობის გარეშე);

1.1.2.3. განაშენიანების პროექტი და შენობის მახასიათებლები

განაშენიანების პროექტის შედგენისას გასათვალისწინებელია ის ურბანულ-კულტურული გარემო, რომელშიც უნდა განთავსდეს შენობა-ნაგებობები და ადაპტირებული უნდა იყოს საქართველოში მოქმედ სტანდარტებთან.

გათვალისწინებული უნდა იყოს სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა.

აუცილებელია დაკონკრეტდეს სპეც-ტრანსპორტის (სახანძრო მანქანის, სასწრაფოს და ა.შ.) წვდომისა და გაჩერების ადგილები. შენობის/შენობების გარშემო, ტერიტორიის რელიეფის გათვალისწინებით, მაქსიმალურად გათვალისწინებული უნდა იყოს შემოსავლელი გზა სპეც-ტრანსპორტის შეუფერხებელი წვდომისთვის შენობის ყველა ფასადზე.

პროექტირებისას გათვალისწინებული უნდა იყოს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის სივრცეების ადაპტაციის მოთხოვნები (პანდუსები, ლიფტები ან სხვ.).

პროექტი დამუშავებული უნდა იყოს საქართველოში მოქმედი ნორმატიული აქტების გათვალისწინებით.

1.2. შემსყიდველის წვლილი

შემსყიდველი უზრუნველყოფს მიწის ნაკვეთის ფუნქციური ზონის ცვლილებას წინამდებარე ტექნიკური დავალების შესაბამისად, ასევე გადასცემს მიმწოდებელს მის ხელთ არსებულ ყველა მასალას, რომელიც შეიძლება საჭირო იყოს მომსახურების გაწევისათვის; შესაძლებლობების ფარგლებში გაუწევს დახმარებას და უშუამდგომლებს მიმწოდებელს ყველა ჩართულ მხარესთან ურთიერთობაში, მათ შორის ადმინისტრაციულ ორგანოებთან და კომუნალური მომსახურების ორგანიზაციებთან სანებართვო დოკუმენტაციის შეთანხმება-დამტკიცება-გაცემის მიზნით.

2. დანართები

2.1. ტექნიკური დავალების **დანართი #1** - მომზადებული საპროექტო დოკუმენტაციის საფუძველზე, ცალკეული ასაშენებელი შენობისთვის წარმოსადგენი შესასრულებელი სამშენებლო სამუშაოების მოცულობათა უწყის ნიმუში:

ერთი ტიპური ** სართულიანი კორპუსის განფასებული მოცულობათა უწყისი									
#	ძირითადი სამუშაოების დასახელება	განზ. ერთ.	ერთეულის ღირებულება ლარი (განზომილები ს ერთეულის მიხედვით)	%	მოცულობა (განზომილები ს ერთეულის მიხედვით)	ჯამური ღირებუ ლარი (განზომილები ს ერთეულის მიხედვით)	საბაზისო რაოდენობა - კვ.მ (შენობაში არსებული ჯამური საცხოვრებელი ფართი)	ერთეულის ღირებულება ლარი (1კვ.მ საცხოვრებელი ფართის მიხედვით)	ჯამური ღირებულება ლარი (შენობაში არსებული ჯამური საცხოვრებელი ფართის მიხედვით)
1	მიწის სამუშაოები	100%		არაუმეტე ს 3.00%					
2	რკინაბეტონის კარკასი	კუბ.მ		არაუმეტე ს 46.00%					
3	ბლოკის წყობა	კვ.მ		არაუმეტე ს 7.50%					
4	სახურავი	100%		არაუმეტე ს 1.50%					
5	ფასადის კარ-ფანჯარა	კვ.მ		არაუმეტე ს 5.00%					
6	ფასადის მომზადება შესაღებად	კვ.მ		არაუმეტე ს 2.00%					
7	ფასადის ღებვა (მოპირკეთება)	კვ.მ		არაუმეტე ს 6.00%					
8	შიდა ლესვა საერთო სარგებლობის სივრცეებში	კვ.მ		არაუმეტე ს 4.00%					
9	შიდა მოჭიმვა საერთო სარგებლობის სივრცეებში	კვ.მ		არაუმეტე ს 2.00%					
10	კედლების მოპირკეთება საერთო სარგებლობის სივრცეებში	კვ.მ		არაუმეტე ს 5.00%					
11	იატაკების მოპირკეთება საერთო სარგებლობის სივრცეებში	კვ.მ		არაუმეტე ს 3.00%					
12	ჭერები საერთო სარგებლობის სივრცეებში	კვ.მ		არაუმეტე ს 3.00%					

13	სადარბაზოებში და ბინებში შესასვლელი ცენტრალური კარები	ცალი		არაუმეტეს 2.00%				
14	MEP დაქსელვა საერთო სარგებლობის სივრცეებში	ბინა		არაუმეტეს 7.00%				
15	MEP მოწყობილობები საერთო სარგებლობის სივრცეებში	ბინა		არაუმეტეს 2.00%				
16	ლიფტები	ცალი		არაუმეტეს 1.00%				
				100.00%				

2.2. შუალედური მიღება-ჩაბარების აქტის ნიმუში (ცალკეულ ასაშენებელ შენობაზე)

საკონტრაქტო მონაცემები						საანგარიშო პერიოდში შესრულებული სამუშაო			
#	ძირითადი სამუშაოების დასახელება	მოცულობა განზომილებების ერთეულის მიხედვით)	ჯამური ღირებულება ლარი (შენობაში არსებული ჯამური საცხოვრებელი ფართის მიხედვით)	განზ. ერთ	საბაზისო რაოდენობა - კვ.მ (შენობაში არსებული ჯამური საცხოვრებელი ფართი)	ერთეულის ღირებულება ლარი (1კვ.მ საცხოვრებელი ფართის მიხედვით)	შესრულებული სამუშაოს მოცულობა (განზომილების ერთეულის მიხედვით)	შერულება %	შსრულებული სამუშაოების ღირებულება (ლარი) (ინდექსის გამოყენებამდე)
#	A	B	C = E * F	D	E	F	G	H = G / B * 100	I = C * H
1	მიწის სამუშაოები	-	...	100%	-	-		- %	...
2	რკინაბეტონის კარკასი	-	...	კუბ.მ		-		- %	...
3	ბლოკის წყობა	-	...	კვ.მ		-		- %	...
4	სახურავი	-	...	100%		-		- %	...
5	ფასადის კარ-ფანჯარა	-	...	კვ.მ		-		- %	...
6	ფასადის მომზადება შესაღებად	-	...	კვ.მ		-		- %	...
7	ფასადის ღებვა (მოპირკეთება)	-	...	კვ.მ		-		- %	...
8	შიდა ლესვა საერთო სარგებლობის სივრცეებში	-	...	კვ.მ		-		- %	...
9	შიდა მოჭიმვა საერთო სარგებლობის სივრცეებში	-	...	კვ.მ		-		- %	...

10	კედლების მოპირკეთება საერთო სარგებლობის სივრცეებში	-	...	კვ.მ		-		- %	...
11	იატაკების მოპირკეთება საერთო სარგებლობის სივრცეებში	-	...	კვ.მ		-		- %	...
12	ჭერები საერთო სარგებლობის სივრცეებში	-	...	კვ.მ		-		- %	...
13	სადარბაზოებში და ბინებში შესასვლელი ცენტრალური კარები	-	...	ცალი		-		- %	...
14	MEP დაქსელვა საერთო სარგებლობის სივრცეებში	-	...	ბინა		-		- %	...
15	MEP მოწყობილობები საერთო სარგებლობის სივრცეებში	-	...	ბინა		-		- %	...
16	ლიფტები	-	...	ცალი		-		- %	...
								ჯამი	-
								ინდექსი	...
								სულ ჯამი	

მხარეთა მიერ გამოყენებულია ელექტრონული ხელმოწერები

დაზღვევის პირობები

სამშენებლო სამუშაოების (გარდა სადემონტაჟო სამუშაოებისა) დაწყებამდე ობიექტის დაზღვევის მიზნით მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებითა და ფრანშიზის ღირებულების გათვალისწინებით, შემსყიდველისა და თავისი კომპანიის სასარგებლოდ, წარმოადგინოს სსიპ „საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური“-ს მიერ ლიცენზირებული სადაზღვევო კომპანიიდან დაზღვევის პოლისი შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

1. მინიმალური სადაზღვევო დასაფარი თანხა ობიექტის დაზიანების კომპენსაციისათვის განისაზღვრება ხელშეკრულების ღირებულების 100%-ის ოდენობით. მისი მოქმედების ვადა უნდა ფარავდეს დეფექტებზე პასუხისმგებლობის პერიოდს.

შენიშვნა: ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში ხელშეკრულების ღირებულების ცვლილების შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია, წარმოადგინოს დაზუსტებული ან განახლებული დაზღვევის პოლისი ხელშეკრულების შეცვლილ ღირებულებაზე.

2. მინიმალური სადაზღვევო დასაფარი თანხა მიმწოდებლის მანქანა-დანადგარების დაზიანების, ან დაკარგვის შემთხვევაში შეადგენს 50 000 ლარს, რომლის მოქმედების ვადა უნდა ფარავდეს შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადას.

3. მინიმალური სადაზღვევო დასაფარი თანხები მესამე პირთა საკუთრების დაზიანებისათვის შეადგენს 100 000 ლარს, რომლის მოქმედების ვადა უნდა ფარავდეს შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადას.

4. მინიმალური სადაზღვევო დასაფარი თანხები მიმწოდებლის პერსონალის ტრამვის და/ან გარდაცვალების შემთხვევაში შეადგენს 50 000 ლარს (მინიმუმ 5 000 ლარს/კაცზე), ხოლო მესამე პირთა დაზიანების და/ან გარდაცვალების შემთხვევისათვის შეადგენს მინიმუმ 50 000 ლარს, რომლის მოქმედების ვადა უნდა ფარავდეს შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადას.

მხარეთა მიერ გამოყენებულია ელექტრონული ხელმოწერები

ინდექსაციის პირობები და გამოყენების მაგალითი

1. წინამდებარე პროექტში გამოყენებულ იქნეს „ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების ხელშეწყობის მიზნით ფასთა ინდექსაციის გამოყენების საფუძვლების, პრინციპებისა და წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 27 აპრილის N753 განკარგულების მე-7 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად განსაზღვრული ინდექსი (შემდგომში - ინდექსი).

2. ინდექსი არ შეეხება საპროექტო მომსახურებას და სადემონტაჟო სამუშაოებს.

3. ინდექსის გათვალისწინებით სამშენებლო სამუშაოების 70% იქნება ცვალებადი და დაექვემდებარება პერიოდულ კორექტირებას ქვემოთ მოცემული წესის შესაბამისად.

4. სამინისტროს მიერ ქ. თბილისში, ანა პოლიტოვსკაიას ქუჩა №69-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 01.14.01.011.001) 1100 (ათას ასი) ბინიანი „პოლიციის ქალაქის“ მშენებლობისთვის მიწის ნაკვეთზე არსებული შენობა-ნაგებობების სადემონტაჟო სამუშაოების, საჭირო განაშენიანების დეტალური გეგმის, არქიტექტურულ-სამშენებლო პროექტისა და ამ პროექტის საფუძველზე სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებებში ანგარიშსწორება და შესრულებული სამუშაოს მიღების შუალედური აქტებით განსაზღვრული სამუშაოს ღირებულებების ინდექსაცია განხორციელდება შემდეგი წესით:

ა) ხელშეკრულების მიზნებისთვის, ინდექსაციის ათვლის წერტილად (საბაზისო (სასტარტო) ინდექსად) ითვლება ხელშეკრულების გაფორმების თვე, რაც გულისხმობს, რომ ხელშეკრულების გაფორმების თვეში - „ინდექსი“ უდრის (=) 100;

ბ) სამუშაოს მიღების ცალკეული შუალედური აქტის ინდექსაციისთვის გამოიყენება აღნიშნული აქტის წინა კალენდარულ თვეებში გამოქვეყნებული ინდექსის ნაზარდი ჯამი, კერძოდ საბაზისო თვიდან კონკრეტული აქტის თვემდე არსებული ინდექსის ნაზარდი ჯამი;

გ) ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, შესრულებული სამშენებლო სამუშაოს მიღების აქტებში მითითებული შესრულებული სამუშაოს ღირებულების ინდექსაცია განხორციელდება შემდეგი ფორმულის მიხედვით:

$$D = A \times 70\% \times (B1/100 \times B2/100 \times \dots \times Bn/100) + (A \times 30\%);$$

D - ნიშნავს ინდექსაციის შედეგად დაკორექტირებულ შესრულებული სამუშაოს შუალედური აქტით განსაზღვრულ ღირებულებას;

ინდექსი - საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გამოქვეყნებული მშენებლობის ღირებულების ყოველთვიური ინდექსი წინა თვესთან მიმართებით;

A - ნიშნავს შესრულებული სამუშაოს მიღების შუალედური აქტით განსაზღვრულ შესრულებული სამუშაოს ღირებულებას ინდექსაციამდე;

B1 - ნიშნავს ხელშეკრულების გაფორმების თვეში გამოქვეყნებული ინდექსს, რომელიც = 100-ს.

Bn - ნიშნავს მიღება-ჩაბარების გაფორმების თვეში გამოქვეყნებული ინდექსს, რომელიც D-ს გამოანგარიშებისას = 100-ს.

B2 - ნიშნავს ხელშეკრულების გაფორმებიდან მეორე თვეში გამოქვეყნებული ინდექსს, B3 ნიშნავს ხელშეკრულების გაფორმებიდან მესამე თვეში გამოქვეყნებული ინდექსს და ა.შ.

მაგალითი #1 - ხელშეკრულება გაფორმდა 15.11.2022 წელს, ხოლო შესრულებული სამუშაოს პირველი შუალედური აქტი დათარიღდა 31.12.2022 წლით, რომლის ღირებულებამაც შეადგინა 1,000,000.00 ლარი (ინდექსის გავრცელებამდე). ვინაიდან, როგორც ხელშეკრულების გაფორმების თვეში ასევე მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების თვეში გამოქვეყნებული „ინდექსი“ = 100-ს, მაშინ 31.12.2022 თარიღით დათარიღებული აქტით განსაზღვრული შესრულებული სამუშაოს ღირებულება ინდექსის გავრცელების შემდეგ იქნება:

$$1,000,000.00 \text{ ლარის } 70\% (700,000.00 \text{ ლარი}) \times (100/100 \times 100/100) + 1,000,000.00 \text{ ლარის } 30\% (300,000.00 \text{ ლარი}) = 1,000,000.00 \text{ ლარი}$$

მაგალითი #2 - 31.01.2023-წლით დათარიღებული აქტით შესრულებული სამუშაოს ღირებულებამ შეადგინა 1,000,000.00 ლარი (ინდექსის გავრცელებამდე), ამავე დროს 2022 წლის დეკემბრის „ინდექსმა“ შეადგინა - 101.5. შესაბამისად, 31.01.2023 თარიღით დათარიღებული აქტით განსაზღვრული შესრულებული სამუშაოს ღირებულება ინდექსის გავრცელების შემდეგ იქნება:

$$1,000,000.00 \text{ ლარის } 70\% (700,000.00 \text{ ლარი}) \times (100/100 \times 101.5/100 \times 100/100) + 1,000,000.00 \text{ ლარის } 30\% (300,000.00 \text{ ლარი}) = 1,010,500.00 \text{ ლარი}$$

მაგალითი #3 - 28.02.2023-წლით დათარიღებული აქტით შესრულებული სამუშაოს ღირებულებამ შეადგინა 1,000,000.00 ლარი (ინდექსის გავრცელებამდე), ამავე დროს 2023 წლის იანვრის „ინდექსმა“ შეადგინა - 99.0. შესაბამისად, 28.02.2023 თარიღით დათარიღებული აქტით განსაზღვრული შესრულებული სამუშაოს ღირებულება ინდექსის გავრცელების შემდეგ იქნება:

$1,000,000.00$ ლარის 70% ($700,000.00$ ლარი) \times ($100/100 \times 101.5/100 \times 99/100 \times 100/100$) + $1,000,000.00$ ლარის 30% ($300,000.00$ ლარი) = $1,003,395.00$ ლარი

მაგალითი #4 - 31.03.2023-წლით დათარიღებული აქტით შესრულებული სამუშაოს ღირებულებამ შეადგინა 1,000,000.00 ლარი (ინდექსის გავრცელებამდე), ამავე დროს 2023 წლის თებერვლის „ინდექსმა“ შეადგინა - 101.0. შესაბამისად, 31.13.2023 თარიღით დათარიღებული აქტით განსაზღვრული შესრულებული სამუშაოს ღირებულება ინდექსის გავრცელების შემდეგ იქნება:

$1,000,000.00$ ლარის 70% ($700,000.00$ ლარი) \times ($100/100 \times 101.5/100 \times 99/100 \times 101/100 \times 100/100$) + $1,000,000.00$ ლარის 30% ($300,000.00$ ლარი) = $1,010,428.95$ ლარი

მხარეთა მიერ გამოყენებულია ელექტრონული ხელმოწერები